განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2.03.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

27.04.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლებისსაფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლარისა პატარაია - ბიზნეს საკონსულტაციო და კვლევითი კომპანია ‘Start-Business Solutions”
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგი გიოშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციისექსპერტთაჯგუფისშემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2013 წელს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე დაარსდა ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი. მაგისტრატურის საგანმანთლებლო პროგრამამ ,,ბიზნესის ადმინისტრირება" აკრედიტაცია მიიღო 2012 წლის 28 სექტემბერს (გადაწყვეტილება N 469). 2018 წელს პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება და ხელახალი აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 17 იანვარს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N14).

ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით არსებულ თეორიაზე, ინოვაციებზე და პრაქტიკულ კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნის სტუდენტისთვის გადაცემა; სტუდენტში ეფექტიანი მართვისა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, პრობლემათა კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარის გამომუშავება; შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი მენეჯერის მომზადება. პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, 4 სემესტრი. თითოეული სემესტრი მოიცავს 20 კვირას. პროგრამა არის 120 კრედიტიანი და ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით კურსებს:

- სასწავლო კომპონენტი - <u>90 ECTS კრედიტი;</u> (არჩევითი სასწავლო კურსები - 8 ECTS კრედიტი, საწარმოო პრაქტიკა - 6 ECTS კრედიტი).
- კვლევითი კომპონენტი–სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა <u>30 ECTS კრედიტი.</u>

აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე არის 6 კონცენტრაცია/სპეციალიზაცია. პირველ სემესტრში პროგრამა ითვალისწინებს 5 ძირითადი სასწავლო კურსის გავლას, მეორე სემესტრიდან სტუდენტები გადიან ორ სავალდებულო სასწავლო კურსს, ირჩევენ კონცენტრაციას და შესაბამისად, გადიან სპეციალიზაციის სამ სავალდებულო და ერთ არჩევით სასწავლო კურსს. მესამე სემესტრში გათვალისწინებულია 5 სასწავლო კურსის (ერთი - ზოგადი სავალდებულო, სამი - სპეციალიზაციის სავალდებულო, ერთი სპეციალიზაციის არჩევითი) და საწარმოო პრაქტიკის გავლა. მეოთხე სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტუდენტი დააგროვებს 90 სასწავლო კრედიტს. 120 კრედიტის წარმატებით დაგროვების შემდეგ გაიცემა ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის დიპლომი.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის აკრედიტაციის საბჭოს დასკვნის საფუძველზე პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომლებიც დადებითად შეიძლება შეფასდეს. გაცემული რეკომენდაციიდან ცვლილებები მეტ-ნაკლები წარმატებით ყველა მიმართულებით არის განხორციელებული:

- საერთაშორისო მარკეტინგი და საერთაშორისო მენეჯმენტის კონცენტრაცია ტრანსფორმირდა მარკეტინგის და მენეჯმენტის კონცენტრაციად;

- დაემატა სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ბიზნესში“, გაძლიერდა მარკეტინგის მიმართულება მარკეტინგის სასწავლო კურსებით;
- დაემატა სწავლის შედეგების შეფასების რუქა და განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად დაემატა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ საქართველოსტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 2 მარტს. 28 თებერვალს შედგა ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა (ლარისა პატარაია, სოფიო ხუნდაძე, გიგი გიოშვილი) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომელიც გაგრძელდა ორი საათი. შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა წარმოვადგინეთ საკუთარი პოზიციები პროგრამასთან დაკავშირებით, ვიმჯსელეთ ჰიპოთეზებზე, რომლის დადასტურება და შემოწმება გახდა მთავარი ამოცანა, რათა დაგვეზუსტებინა პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა. შევიმუშავეთ ძირითადი კითხვები, გავეცანით დღის წესრიგს.

2020 წლის 2 მარტს დილის 10:00 საათიდან 19:00 საათამდე მიმდინარეობდა დღის წესრიგით განსაზღვრული შეხვედრების ჩატარება პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ სხვადასხვა მხარესთან. ვიზიტის ფარგლებში შევხვდით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს, ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს, თვითშეფასების ჯგუფს, დამსაქმებლებს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს.

ადგილზე დავათვალიერეთ და შევამოწმეთ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ცენტრალური ბიბლიოთეკა, ლობორატორია, აუდიტორიები; შევისწავლეთ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესი. ვიზიტის დროს გამოვითხოვეთ 2018-2019 წლების სამაგისტრო ნაშრომები და დამატებითი დოკუმენტები.

დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გავუზიარეთ ვიზიტის შედეგად ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

აკრედიტაციის ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში. დაწესებულებას და ექსპერტთა ჯგუფს შორის შენარჩუნებული იყო ურთიერთთანამშრომლობითი მიდგომები ეთიკის და სტანდარტების დაცვით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასებისა და დასკვნის საფუძვლეზე გამოიკვეთა შემდეგი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურის და კურიკულუმის მოდიფიცირება, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით;

რეკომენდირებულია სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ისე, რომ შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას, და კონცენტრაციებმა გავლენა არ მოახდინოს სწავლის შედეგებზე;

რეკომენდირებულია, რაოდენობრივი კვლევის ჩატარების დროს კითხვარების შევსება მოხდეს ანონიმურად და არ დაირღვას პირადი მონაცემების გავრცელების პრინციპი;

რეკომენდირებულია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგი ფორმულირდეს ისე, რომ მოიცვას მხოლოდ ის ცოდნა, რომლის მიღწევაც პროგრამით განსაზღვრული ყველასთვის სავალდებულო კომპონენტებითაა შესაძლებელი;

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის საკითხების სიღრმისეული ცოდნა და ამ ცოდნით სტუდენტის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია პროგრამა მოიცავდეს შესაბამის სასწავლო კურსს;

რეკომენდირებულია აუდიტის კონცენტრაციას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტებს ფინანსურ აუდიტთან და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებული ცოდნით;

რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ ისწავლებოდეს მარკეტინგის კონცენტრაციის ფარგლებში;

დასაზუსტებელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მხოლოდ ერთ-ერთი სწავლის შედეგის ფორმულირება, რომელიც კონკრეტული კონცენტრაციით უზრუნველყოფილ სწავლის შედეგებს აღწერს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას სურს შეინარჩუნოს პროგრამის აღნიშნული სწავლის შედეგი, რეკომენდირებულია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სტუდენტებს სწავლის შედეგით აღწერილი ცოდნით;

რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლითაც განისაზღვრება კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები.

რეკომენდირებულია სტუდენტების მხრიდან მოხდეს ნაშრომების შესრულების წესების დაცვა, ხოლო ხელმძღვანელების მხრიდან რეკომენდირებულია აღნიშნული მიმართულებით სტუდენტებთან უფრო ინტენსიური მუშაობა.

რეკომენდირებულია დაიგეგმოს აქტივობები საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაც გაზრდიდა სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას უფრო ვალიდური სამეცნიერო წყაროების გამოყენებას, რაც თავისმხრივ გაზრდიდა შესრულებული სამაგისტრო ნაშორმების ხარისხს.

პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელდეს კითხვარებისა და მონიტორინგის დროს მიღწეული შედეგების ანალიზი.

პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელდეს ელ. ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორც აკადემიურ პერსონალში, ასევე სტუდენტებში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში გაერთიანდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპიდაპირი შეფასების მეთოდით მიღებული შედეგები და მოხდეს მათი გაანალიზება პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად;

სასურველია პროგრამის ფარგლებში სავალდებულო ლიტერატურად მეტად იქნას გამოყენებული ინგლისურენოვანი, თანამედროვე ლიტერატურა, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება.

სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა სურვილი, რომ პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იყოს უფრო მრავალფეროვანი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მეტად ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები.

პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია პროგრამაზე მეტი მოწვეული მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი სპეციალისტების მოწვევა.

სასურველია გაიზარდოს დასავლურ უნივერსიტეტებთან დაახლოება აკადემიური პერსონალის მოწვევითა და მობილობით, რაც უზრუნველყოფს აკადემიური საქმიანობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე და გამოიწვევს ინტერნაციონალიზაციის მაღალ დონეს.

სასურველია ფოკუსირება მოხდეს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში აკადემიური სტატიების გამოქვეყნებაზე.

სასურველია აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის უნარების გაძლიერება.

სასურველია გაიზარდოს დაფინანსება სამეცნიერო და კვლევითი მიმართულებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული მიზანი, რომელიც შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ ხედვასთან. პროგრამის მიზანს წარმოადგენს „ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით არსებულ თეორიაზე, ინოვაციებზე და პრაქტიკულ კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნის სტუდენტისთვის გადაცემა; სტუდენტში ეფექტიანი მართვისა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, პრობლემათა კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარის გამომუშავება; შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი მენეჯერის მომზადება“; მიზანში გამოკვეთილია კონკრეტული ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომელსაც სტუდენტი გამოიმუშავებს პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული კომპონენტების განვითარება რეალისტურია და მიღწევადი. პროგრამის ძირითადი მიზანი არის კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადება, თუმცა, არ არის დაკონკრეტებული ადგილობრივი შრომითი ბაზარი იგულისხმება თუ საერთაშორისო. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნიდან გამომდინარე არ გვრჩება წარმოდგენა მისი ინტერნაციონალური ბუნების შესახებ. პროგრამის შესახებ ინფორმაცია ხეწლმისაწვდომია საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ვიზიტის დროს, სხვადასხვა ჩართულ მხარესთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის მიზანს იზიარებს ყველა დაინტერესებული მხარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის მიზანიში დაკონკრეტდეს პროგრამა ითვალისწინებს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო შორმის ბაზარზე;
- სასურველია, პროგრამაში გამოიკვეთოს ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას აქვს ექვს კომპეტენციებზე გამავალი შედეგები. პირველი არის <u>ცოდნა და გაცნობიერება,</u> რომელიც ითვალისწინებს ბიზნესის ადმინისტრირების ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომელიც იძლევა ახალი იდეების შემუშავების საშუალებას. აცნობიერებს მენეჯმენტში, მარკეტინგში, აუდიტში, მცირე ბიზნესის მართვაში, ბიზნესში გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში არსებულ კონკრეტულ პრობლემებს; ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. მეორე არის <u>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი,</u> სადაც ხაზგასმულია კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი, სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი. მესამე, მეოთხე და მეხუთე კომპეტენციები ზოგადი უნარების განვითარებაზე არის ორიენტირებული, როგორიც არის <u>დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი და სწავლის უნარი.</u> მეექვსე ორიენტირებულია <u>ღირებულებებზე,</u> სადაც ხაზგასმულია ზოგადსაკაცობრიო და პროფესიული ღირებულებების ჩამოყალიბება-განვითარება და ეთიკური ნორმების დაცვა. ერთად აღებული, პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების რუქის და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქის მიხედვით, პროგრამა გადის 10 შედეგზე. ზემოაღწერილ 6 კომპეტენცია ჩაშლილია დამატებით შემდეგი ტიპის სწავლის შედეგებზე:

„სტუდენტი აცნობიერებს ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; IT - ტექნოლოგიების როლსა და მნიშვნელობას ბიზნესის ადმინისტრირებაში; შეუძლია კომუნიკაცია როგორც პროფესიონალებთან, ასევე, არაპროფესიონალებთან; იცის კომუნიკაციის სტრატეგიების თავისებურებათა შესახებ, რაც უზრუნველყოფს ეფექტური კომუნიკაციის წარმართვისათვის აუცილებელ კომპეტენციათა ჩამოყალიბების შესაძლებლობას; ამყარებს ურთიერთობას ლაკონური, ლოგიკური და ეფექტური წერილობითი შეტყობინების პროდუცირების სტრატეგიებისა და ტექნიკის გამოყენებით.სტუდენტს შეუძლია მენეჯმენტში, მარკეტინგში, აუდიტში, მცირებიზნესის მართვაში, ბიზნესში გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა; შემდგომი სწავლის საჭიროების დაგეგმვა;“

ზოგადად, სწავლის შედეგები ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს და ნაწილობრივ შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; თუმცა, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პროგრამას აქვს 6 განსხვავებული სპეციალიზაცია/კონცენტრაცია, რაც ზღუდვას

პროგრამაში მოცემულ პირველ სწავლის შედეგზე გასვლას, ვინაიდან კონკრეტული კონცენტრაციის არჩევის შემდეგ (მაგალითად მარკეტინგი) სტუდენტი ვერ იღებს აუდიტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების ან/და ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში ცოდნას. ეს პრობლემა არის სისტემური ხასიათის და შესაბამისად პროგრამის სტრუქტურა და კურიკულუმი ნაწლობრივ იძლევა საშუალებას სტუდენტი გავიდეს პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. პროგრამა ითვალისწინებს სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირ, ასევე არაპიდაპირ მეთოდებს. სისტემატურად ტარდება სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების კვლევები და გამოკითხვები. ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოგენილ დანართს - N13, რომელიც არის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს. აღნიშნულში მოცემულია ნედლი ინფორმაციაა და იდენტიფიცირებადია გამოკითხვაში მონაწილეობის მიმღები სტუდენტი. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც შემუშავებულია აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით; დაწესებულებას აგრეთვე წარმოდგენილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში. აღსანიშნავია, რომ ანგარიშში მოცემულია კურიკულუმით გათვალისწინებულ სამიზნე ნიშნულებთან სწავლის შედეგების დადარება და ანგარიშში არ არის მოცემული შეფასების არაპირდაპირი მეთოდით გამოვლენილი შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- გამოკითხვის შედეგები და ანგარიშები;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურის და კურიკულუმის მოდიფიცირება, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით;
- რეკომენდირებულია სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ისე, რომ შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას, და კონცენტრაციებმა გავლენა არ მოახდინოს სწავლის შედეგებზე;
- რეკომენდირებულია, რაოდენობრივი კვლევის ჩატარების დროს კითხვარების შევსება იყოს ანონიმური და არ დაირღვას პირადი მონაცემების გავრცელების პრინციპი;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში გაერთიანდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპიდაპირი შეფასების მეთოდით მიღებული შედეგები და მოხდეს მათი გაანალიზება პროგრამის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა		✓		

2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრორების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძვლეზე. სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინების მიზნით პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განსაზღვრულია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დაცულია, სრულდება პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ინტერვიუების დროს პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული და აკადემიური პერსონალი აცხადებს საჭირო ცდონისა და უნარების მქონე სტუდენტების არსებობას პროგრამაზე. 2018 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნის საფუძვლეზე მიღებული რჩევის გათვალისწინებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ასევე განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია კონკრეტული სასწავლო კურსები ინგლისურ ენაზე, შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას. ამასთანავე, ინგლისური ენის ცოდნა ხელს შეუწყობს ინგლისურენოვანი ლიტერატურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შესრულების პროცესში გამოყენებას, ასევე, საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ეფექტიანად გამოყენებას. ინგლისურენოვანი წყაროების ეფექტიანად გამოყენება კი თავისმხრივ დარგში მიმდინარე თანამედროვე ცოდნისა და მიღწეევების გაცნობას და შესაბამისად, პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას შეუწყობს ხელს. ამდენად, პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და მოთხოვნებს, ლოგიკურია, შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდებისგავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია, დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:http://www.gtu.ge
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასებისანგარიში ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა აგებულია აღნიშნული წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. ბიზნესის ადმინსიტრირების სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი), პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი. კრედიტები ნაწილდება სასწავლო და კვლევით კომპონენტებს შორის. სასწავლო კომპონენტისთვის განკუთვნილია 90 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს - 30 კრედიტი. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 46 კრედიტი, პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ კონცენტრაციას- 30 კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსებს - 8 კრედიტი, პრაქტიკულ კომპონენტს (საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში) - 6 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი) – 30 კრედიტი. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურია და სათანადოდაა განსაზღვრული თითოეულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები. ლოგიკურია პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის წინაპირობებიც. პრაქტიკის კომპონენტზე დაშვების წინაპირობაა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტი, მინიმუმ 45 კრედიტი, რაც ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს თითქმის სრულად ფარავს. კვლევით კომპონენტზე დაშვების წინაპირობა კი პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსია, რაც ხელს შეუწყობს კვლევითი კომპონენტის შესასრულებლად საჭირო ცოდნითა და უნარებით მაგისტრანტის უზრუნველყოფას კვლევითი კომპონენტის დაწყებამდე. ამდენად, პროგრამის მოცულობა, სტრუქტურა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი) და პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ერთობლიობა მეტწილად შესაძლებელს ხდის პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა პროგრამით განსაზღვრული ერთ-ერთი სწავლის შედეგი აღწერს ისეთ

ცოდნას, რომლის მიღწევაც მხოლოდ კონცენტრაციის ფარგლებშია შესაძლებელია, კერძოდ, აცნობიერებს აუდიტში, მცირე ბიზნესის მართვაში, ბიზნესში გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიების, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში არსებულ კონკრეტულ პრობლემებს. აუდიტთან, მცირე ბიზნესის მართვასთან, ბიზნესში გამოყენებულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტთან დაკავშირებული სასწავლო კურსები შეთავაზებულია და ისწავლება მხოლოდ კონკრეტული კონცენტრაციის ფარგლებში, შესაბამისად, რეკომენდირებულია პროგრამით განსაზღვრული აღნიშნული სწავლის შედეგი ფორმულირდეს ისე, რომ მოიცვას მხოლოდ ის ცდონა, რომლის მიღწევაც პროგრამით განსაზღვრული ყველასთვის სავალდებულო კომპონენტებითაა შესაძლებელი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განახლების პროცესში სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათალიდან ამოღებულ იქნა სასწავლო კურსი „ეკონომიკა მენეჯერებისთვის“, რის შედეგადაც საგანმანათლებლო პროგრამა აღარ მოიცავს ეკონომიკასთან დაკავშირებულ არცერთ სასწავლო კურსს. ინტერვიუების საფუძვლეზე აღნიშნული ცვლილების საფუძვლად გამოიკვეთა სტუდენტთა მოთხოვნა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის საკითხების სიღრმისეული ცოდნა და თვლის, რომ ამ ცოდნით სტუდენტის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია პროგრამა მოიცავდეს შესაბამის სასწავლო კურსს.

აუდიტის კონცენტრაცია არ მოიცავს ფინანსურ აუდიტთან, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებულ სასწავლო კურსს. რეკომენდირებულია აუდიტის კონცენტრაციას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტებს ფინანსურ აუდიტთან, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებული ცოდნით. ინტერვიუების პროცესში აღნიშნული პოზიცია გაზიარებულ იქნა კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მიერ.

პროგრამის განახლების პროცესში მარკეტინგის კონცენტრაციიდან სასწავლო კურსი „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ გადატანილ იქნა მენეჯმენტის კონცენტრაციაში. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი მნიშვნელოვანია ისწავლებოდეს მარკეტინგის კონცენტრაციაშიც.

ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობა. ინტერვიუების დროს დასახელდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა პროგრამაზე მუშაობის პროცესში.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://www.gtu.ge

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებისანგარიში
- ბიზნესის ადმინისტრირები სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგი ფორმულირდეს ისე, რომ მოიცვას მხოლოდ ის ცდონა, რომლის მიღწევაც პროგრამით განსაზღვრული ყველასთვის სავალდებულო კომპონენტებითაა შესაძლებელი.
- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის საკითხების სიღრმისეული ცოდნა და თვლის, რომ ამ ცოდნით სტუდენტის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია პროგრამა მოიცავდეს შესაბამის სასწავლო კურსს.
- რეკომენდირებულია აუდიტის კონცენტრაციას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტებს ფინანსურ აუდიტთან, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებული ცოდნით.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ ისწავლებოდეს მარკეტინგის კონცენტრაციის ფარგლებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
    - ✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ფარგლებში შემუშავებული სწავლის შედეგების რუკა, რომლის საშუალებითაც დემონსტრირებულია სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა, ამასთან, რუკა განსაზღვრავს თუ რომელი სასწავლო კურსი რა ხარისხით უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სრული შესაბამისობისთვის დასაზუსტებელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მხოლოდ ერთ-ერთი სწავლის შედეგის ფორმულირება, რომელიც კონკრეტული კონცენტრაციით უზრუნველყოფილ სწავლის შედეგებს აღწერს (იხ. ქვესტანდარტის„2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი“ აღწერა). ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას სურს შეინარჩუნოს პროგრამის აღნიშნული სწავლის შედეგი, რეკომენდირებულია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სტუდენტებს სწავლის შედეგით აღწერილი ცოდნით.

სასწავლო კურსებით განსაზრღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს.

სასწავლო კურსებისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობა გონივრულია და წარმოდგენილი მოცულობის სამუშაო საათებით შესაძლებელია სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია ადეკვატური სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რაც შესაძლებელს ხდის

სასწავლო კურსებით და საერთო ჯამში პროგრამით გათვალისსიწნებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულია შეფასების ადეკვატური მეთოდები, მაგალითად, სასწავლო კურსებში სადაც ხაზგასმულია ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ხსნის, მაგალითად „გამოთვლის აქტივის ღირებულებას პირვანდელი, რეალური, მიმდინარე და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით“, „ამზადებს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას“ და ა.შ. შეფასების მიზნით გამოყენებულია ისეთი ტიპის დავალებები, როგორიცაა პრაქტიკული ამოცანების ამოხსნა, ან მაგალითად, სადაც სწავლის შედეგად აღწერილია კომუნიკაციის უნარების განვითარება „განიხილავს და ამზადებს ფინანსური ანგარიშგების შედგენისთვის საჭირო ინფორმაციას“, გამოიყენება დისკუსია-დებატების, ჯგუფური მუშაობის, ანალიზის მეთოდები, რომლებიც სასწავლო კურსის მიმდინარეობისას ფასდება როგორც შუალედური აქტივობები. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია ადეკვატური, მეტწილად თანამედროვე ლიტერატურა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ შესაძლებელია პროგრამის ფარგლებში სავალდებულო ლიტერატურად მეტად იქნას გამოყენებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება. მაგალითად, სასწავლო კურსში „ფინანსური ანგარიშგება“, ერთ-ერთ სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგება F7 (ACCA), რომელიც 2011 წლის თარგმანია, როცა აღნიშნული სახელმძღანელოს უახლესი გამოცემა ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე. აღნიშნული მეტად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას და საშუალებას მისცემს მაგისტრანტს უკეთ გაეცნოს დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციებსა და მიღწევებს. სასწ. კურსის ფარგლებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა მეტწილად შეესაბამება დარგის მიღწევებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასებისანგარიში ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- დასაზუსტებელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მხოლოდ ერთ-ერთი სწავლის შედეგის ფორმულირება, რომელიც კონკრეტული კონცენტრაციით უზრუნველყოფილ სწავლის შედეგებს აღწერს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას სურს შეინარჩუნოს პროგრამის აღნიშნული სწავლის შედეგი, რეკომენდირებულია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სტუდენტებს სწავლის შედეგით აღწერილი ცოდნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის ფარგლებში სავალდებულო ლიტერატურად მეტად იქნას გამოყენებული ინგლისურენოვანი, თანამედროვე ლიტერატურა, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს კვლევითი უნარების განვითრებას. აღნიშნული უნარების განვითარების მიზნით პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და საჯაროდ დაცვა. კვლევითი უნარების უკეთ განვითარებისა და კვლევითი კომპონენტის წარმატებით დასრულების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამის განახლების პროცესში, 2018 წელს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინების საფუძველზე პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები ბიზნესში“, რომელიც სხვა სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყების წინაპირობაა. ნაშრომის ტექნიკური გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე: http://www.gtu.ge. ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასებისპროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით „საქართველოსტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“ (დამტკიცებულია 2012 წლის 26 ივნისის № 704დადგენილებით). პროგრამის ფარგლებში არ არის შემუშვებული სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლითაც განისაზღვრება კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები. პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტს 6 კრედიტის მოცულობით. პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე. სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტზე ხელმძღვანელობას უწევს მენტორი, რომელიც აფასებს მათ საქმიანობას. პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტი წარმოადგენს პრაქტიკის ანგარიშს, სადაც ის აღწერს პრაქტიკის ობიექტზე შესრულებულ სამუშაოებს, ასევე, პრაქტიკის ფარგლებში გამომუშავებულ უნარებს. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები. დამსაქმებლებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე გასაგზავნი სტუდენტების შესაძლო მაქსიმალურ რაოდენობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასებისანგარიში ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ○ სილაბუსები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლითაც განისაზღვრება კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია სწავლება-სწავლის ადეკვატური მეთოდები: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (Cooperative) სწავლება, ჯგუფური (Collaborative) მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული მეთოდი, შემთხვევების შესწავლა (Case study, გონებრივი იერიში (Brain storming), როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია

სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს, რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მაგალითად, სასწავლო კურსებში სადაც ხაზგასმულია ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ხსნის, მაგალითად „გამოთვლის აქტივის ღირებულებას პირვანდელი, რეალური, მიმდინარე და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებით“, „ამზადებს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას“ და ა.შ. გამოყენებულია სწავლებისა და სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობის მეთოდი, ან მაგალითად, სადაც სწავლის შედეგად აღწერილია კომუნიკაციის უნარების განვითარება „განიხილავს და ამზადებს ფინანსური ანგარიშგების შედგენისთვის საჭირო ინფორმაციას“, გამოიყენება სწავლებისა და სწავლის მეთოდები, როგორიცაა დისკუსია-დებატები, ჯგუფური მუშაობის, ანალიზის მეთოდები, რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო კურსებით აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლების აღნიშნული მეთოდები ადეკვატურია, შეესაბამება სწავლების საფეხურს და შესაძლებელს ხდის პროგრმითა და სასწავლო კურსებით განსაზღრული სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა სურვილი, რომ პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იყოს უფრო მრავალფეროვანი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მეტად ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასებისანგარიში
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სტუდენტების მხრიდან დაფიქსირდა სურვილი, რომ პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იყოს უფრო მრავალფეროვანი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მეტად ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მთავარია გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტუდენტების შეფასება ხდება სასემინარო აქტივობებში მონაწილეობით, პრეზენტაციებით, შუალედურით და დასკვნითი გამოცდით. სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსებში შესაბამისი კომპონენტების მიხედვით და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.

უნივერსიტეტში არსებობს აპელაციის სისტემა და სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ნახოს თავისი ნაწერი ან შესაბამისი კომისიის თანდასწრებით განიხილოს გამოცდის ქულა. ინტერვიუების დროს გამოირკვა, რომ სტუდენტები უნივერსტეტში არსებული შეფასების მექანიზმების შესახებ ფლობენ ამომწურავ ინფორმაციას. აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებს ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით და რეაგირებს სტუდენტის თხოვნასა და წინადადებაზე. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შეიძლება დავადგინოთ, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა საჯაროა და შეფასების სისტემა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დაცვა უხდება შესაბამის ხელმძღვანელის, კომისიისა და რეცენზენტის წინაშე. მაგისტრანტის საბოლოო შეფასების პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ სტუდენტებთან; ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან. ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; ○ სასწავლო კურსის პროგრამა და სილაბუსები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნეს ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ინფორმაციას იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე და ასევე, იღებენ სათანადო კონსულტაციებს შესაძლო დასაქმებასთან დაკავშირებით. ისინი გრძნობენ კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან.

უნივერსიტეტში გამართულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და საერთაშორისო ელექტრონული რესურსები. მიუხედავად ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია რომელ საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან აქვთ წვდომა. სტუდენტების ინფორმირებულობისთვის, უნივერსიტეტში არსებობს სოციალური ქსელები, ელექტრონული მიმოწერის საშუალებები და უნივერსიტეტის ვებგვერდი. სასურველია უსდ-მ გააძლიეროს სტუდენტებთან კომუნიკაციის კომპონენტი და მიაწოდოს მათ ინფორმაცია რომელ ელექტრონულ ბაზებთან აქვთ წვდომა და სტუდენტები ინფორმირებულნი იყვენენ ამის შესახებ.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში. გარდა ამისა, პროგრამა მაგისტრანტებს სთავაზობს პრაქტიკის კომპონენტს.

სტუდენტები კითხვარების საშუალებით აფასებენ გავლილ სასწავლო კურსებს, მის საჭიროებას და ლექტორებს. ინტერვიუების დროს, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პროგრამის განვითარების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა რეკომენდაციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- კითხვალი და ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

o რეკომენდირებულია უსდ-მ გააძლიეროს სტუდენტებთან კომუნიკაციის კომპონენტი და მიაწოდოს მათ ინფორმაცია რომელ ელექტრონულ ბაზებთან აქვთ წვდომა და სტუდენტები ინფორმირებულნი იყვენენ ამის შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით სტუდენტის უზრუნველყოფის მიზნით მას ენიშნება ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სტუდენტს შესაძლებელია ხელმძღვანელთან ერთად კონსულტაციას უწევდეს თანახელმძღვანელი. ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და საბოლოო შეფასების პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“ (დამტკიცებულია 2012 წლის 26 ივნისის № 704 დადგენილებით). მაგისტრატურის დებულება განსაზღვრავს მაგისტრანტის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების შერჩევის წესს.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ირჩევს სტუდენტი სამუშაო თემატიკის გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომის სათაურზე საბოლოო ჩამოყალიბება მიმდინარეობს ნაშრომის ხელმძღვანელთან ერთად. სამაგისტრო ნაშრომებს ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომსა და ხელმძღვანელს მაგისტრანტი ირჩევს მეოთხე სემესტრში, მას შემდეგ რაც მაგისტრანტს დასრულებული აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო კომპონენტი, მათ შორის კვლევის მეთოდები ბიზნესში და პროფესიული ტექსტის რეფერირება. სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მხიდან საჭირო კონსულტაციის გაწევა და საჭიროებისამებრ მათი ხელმისაწვდომობა. წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომებში მწირია გამოყენებული სამეცნიერო ნაშრომები, დაფიქსირდა არასამეცნიერო წყაროების მითითების შემთხვევები (მაგ. facebook). მწირია და რიგ შემთვევებში არ არსებობს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული კვლევის დიზაინის, მეთოდოლოგიისა და მეთოდების აღწერა. განსაკუთრებით საყურადღებოა რაოდენობრივი კვლევის შედეგების აღწერა და ინტერპრეტაცია. მნიშვნელოვანია და რეკომენდირებულია სტუდენტების მხრიდან მოხდეს ნაშრომების შესრულების წესების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი არ უნდა იქნას დაშვებული ნაშრომის საჯარო დაცვაზე. რეკომენდირებულია ხელმძღვანელების მხრიდან აღნიშნული მიმართულებით სტუდენტებთან უფრო ინტენსიური მუშაობა. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტების მიერ ნაკლებად ხდება საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენება, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ზოგადად, დაბალია აღნიშნული ბაზების შესახებ მათი ინფორმირებულობა. ამდენად, რეკომენდირებულია დაიგეგმოს აქტივობები საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებსტუდენტებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაც გაზრდიდა სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას უფრო ვალიდური სამეცნიერო წყაროების გამოყენებას, რაც თავისმხრივ გაზრდიდა შესრულებული სამაგისტრო ნაშორმების ხარისხს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასებისანგარიში ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ ○ ინტერვიუს შედეგები ○ სამაგისტრო ნაშრომები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სტუდენტების მხრიდან მოხდეს ნაშრომების შესრულების წესების დაცვა, ხოლო ხელმძღვანელების მხრიდან რეკომენდირებულია აღნიშნული მიმართულებით სტუდენტებთან უფრო ინტენსიური მუშაობა.
- რეკომენდირებულია დაიგეგმოს აქტივობები საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაც გაზრდიდა სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას უფრო ვალიდური სამეცნიერო წყაროების გამოყენებას, რაც თავისმხრივ გაზრდიდა შესრულებული სამაგისტრო ნაშორმების ხარისხს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივი		✓		

დუალურიმუშაობა				

4. სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; სულ პროგრამას ემსახურება 90 პროფესორ-მასწავლებელი, საიდანაც 64 არის აკადემიური პერსონალი და 26 მოწვეული ლექტორი. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება კონკურსის წესით 4 წლის ვადით. მათი დატვირთულობის დაგეგმვა ხდება სემესტრის დასაწყისში. ასოცირებული პროფესორები, ისევე როგორც პროფესორები და ასისტენტ პროფესორები, ჩართული არიან სასწავლო პროგრამის განახლებასა და განხორციელებაში, ატარებენ ლექციებს და ამავდროულად ეწევიან კვლევით საქმიანობას. ყველა მათგანთან გაფორმებულია აფილირების ხელშეკრულება. თანაფარდობა აკადემიურ პერსონალსა და ჩარიცხულ სტუდენტებს შორის არის 1:3.43, თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის არის 1:2,46; თანაფარდობა პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალზე არის 1:2,44. აღნიშნული თანაფარდობა არის სრულიად საკმარისი იმისთვის, რომ პროგრამა იყოს მდგრადი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ჩართულ ყველა აკადემიურ და მოწვეულ პროფესორს აქვს დოქტორის ხარისხი და თითქმის არცერთი მათაგნი არ არის პრაქტიკოსი სპეციალისტი. პროგრამის ბუნებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ კარგი იქნება თუ პროგრამაში ჩაერთვება ისეთი მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს კარგი პრაქტიკული გამოცდილება და სტუდენტებს გაუზიარებს საკუთარ გამოცდილებას და ცოდნას.

სამაგისტრო ნაშრომების შეთავაზება სტუდენტებისთვის ხდება პროფესორების მიერ. თითოეული პროფესორი მისთვის საინტერესო თემატიკის ირგვლივ სტუდენტებს სთავაზობს სამ სავარაუდო თემას; როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა, თემატიკის განსაზღვრის პროცესში სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები სტუდენტებს სთავაზობენ იმ მიმართულებით მუშაობას, რაშიც გააჩნიათ დარგობრივი ცოდნა. ბოლო 5 წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნდა 901 სტატია ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში; ამ პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენების ჯამური რაოდენობა არის 615.

პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი; როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა, ორივე ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში. პროგრამის სრულყოფილად წარმართვას ასევე უზრუნველყოფს 16 ადმინისტრაციული თანამშრომელი, რომლებიც წყვეტენ ადმინისტრაციულ საკითხებს, რათა პროგრამამ შეუფერხებლად იფუნქციონიროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუ წესდება;
- ბრძანება # 136 სტუ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე (04. 07. 2017)
- პერსონალის პირად საქმეში არსებული CV -ბი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, სამეცნიერო სტატიების ჩამონათვალი
- აკადემიური და მოწვეულიპერსონალისდატვირთვები (დანართი 5)
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები(დანართი 15)
- კონკურსის ვადები და ჩატარების პირობები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია პროგრამაზე მეტი მოწვეული მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი სპეციალისტების მოწვევა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის კამყოფილების კვლევისა და შეფასების პროცედურები. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად შემუშავებულია ადამიანური რესურსების მართვის მაქსიმალურად გამჭვირვალე და სამართლიანი პოლიტიკა, რომელიც ემსახურება ობიექტური შეფასების პრინციპებს და კარიერულ განვითარებას. შეფასებისპროცესი არის უწყვეტი და უკუკავშირის მაქსიმალური გამოყენებით იგეგმება აკადემიური პერსონალის პროფესიული

განვითარება. 2015-2017 წლებში ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში გადამზადდა 22 ადამიანი. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უნივერსიტეტში დასაქმებულებს სთავაზობს სხვადასხვა სახის პროფესიულ ტრენინგებს. შეფასება ხდება ორი მიმართულებით: სასწავლო კომპონენტი (გამოყენებულია თანამშრომლობითი და კოლეგიალური მიდგომა, ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროფესორებს ესწრებიან მისი კოლეგები ლექციების მსვლელობისას) და კვლევითი კომპონენტი (წლის განმავლობაში კვლევითი აქტივობების შედეგად მიღებული სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და ა.შ. თავმოყრა და გაანალიზება). 10 წლის განმავლობაში მომზადდა და გამოიცა 114 სახელმძღვანელო, 57 ელექტრონული სასწავლო კურსი, 1008 სამეცნიერო შრომა. მიუხედავად ამ შედეგებისა გასააქტიურებელია ინტერნაციონალიზაციის პროცესი. სასურველია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის მობილობა. სასურველია, რომ მოხდეს აკადემიური პერსონალის წახალისება და გაიზარდოს მაღალი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების მაჩვენებელი, რადგან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების თანაფარდობა ადგილობრივ ჟურნალებთან მიმართებაში არის 1:2,17.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პერსონალის (CV), დიპლომები,სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი ○ შეფასების შედეგები ○ http://my.gtu.ge/ ○ http://science.gtu.ge/ ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გაიზარდოს დასავლურ უნივერსიტეტებთან დაახლოება აკადემიური პერსონალის მოწვევითა და მობილობით, რაც უზუნვეყოფს აკადემიური საქმიანობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე და გამოიწვევს ინტერნაციონალიზაციის მაღალ დონეს; ○ სასურველია ფოკუსირება მოხდეს მაღალრეიტინგულ ჟურნალებში აკადემიური სტატიების გამოქვეყნებაზე;

○ სასურველია აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის უნარების გაძლიერება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.3მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ტექნიკური უნივერისტეტის მე-6 კორპუსში, რომელიც მდებარეობს თბილისში, მ. კოსტავას ქუჩაზე N77. კორპუსის შენობას ემსახურება ლიფტები; აუდიტორიები არის კეთილმოწყობილი. ყველა აუდიტორიაში დამონტაჟებულია პროექტორი, თეთრი დაფა. ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტს აქვს ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, საკონფერენციო ოთახი. ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, ისევე როგორც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, არის წიგნსაცავი. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადავამოწმეთ რამდენიმე სახელმძღვანელო, რომელიც პროგრამის კურსების სილაბუსებში იყო მოცემული და ყველა სახელმძღვანელო აღმოჩნდა

ადგილზე. ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველა სტუდენტს და პროფესორს. ბიბლიოთეკაში ელექტორნულად აგზავნიან მოთხოვნას და ბიბლიოთეკის თანამშრომლები უზრუნველყოფენ მათთვის მოთხოვნილი მასალის ელ. ვერსიით გადაგზავნას. უნივერსიტეტს აქვს წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან, სადაც წვდომა შესაძლებელია მხოლოდ უნივერიტეტების IP მისამართით. ვიზიტის დროს, ტექნიკური ხარვეზის გამო ვერ მოხერხდა ელ. ბაზებთან წვდომის შესაძლებლობის დადასტურება. ელ. ბაზების ჩამონათვალი:

Cambridge University Press (https://www.cambridge.org/core)

Royal Society Publishing – journals (https://royalsociety.org/journals/)

Bioone (http://www.bioone.org/)

IMF eLibrary (http://www.elibrary.imf.org/?redirect=true)

SAGE Journals (http://www.eifl.net/publisher/sage-publications-ltd)

Edward Elgar Publishing (http://eifl.net/publisher/edward-elgar-publishing)

Duke University Press (https://www.dukeupress.edu/)

ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნულ ელექტორნულ ბაზებს სტუდენტები არ მოიხმარენ. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში ისინი შემოიფარგლებიან პროფესორების მიერ გადაგზავნილი მასალით.

უნივერსიტეტის საპირფარეშოები არის კეთილმოწყობილი; გამართულია სახანძრო უსაფრთხოების სისტემები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის, მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუ-სბიბლიოთეკის ვებ.გვერდიhttp://gtu.ge/Library/
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ნიშანდობლივია, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი ცალკე; აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში შევძელით გავცნობოდით პროგრამის 2018 წლის ბიუჯეტს და 2019 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტს. 2018 წელს პროგრამას ჰქონდა 629 000 ლარი შემოსავალი, საიდანაც 222 497 ლარი ნაწილდება განვითარების ფონდში, 257 796 ლარი არის პროფესორების სახელფასო ბიუჯეტი, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯი არის 148707 ლარი. როგორც 2018 წელს, ასევე 2019 წელს კადრების გადამზადებისთვის გამოყოფილია 5000 ლარი და 15 000 ლარი - სამეცნიერო ხარჯი. საწარმოოო პრაქტიკისთვის

წლიურად გამოყოფილია ბიუჯეტი10 000 ლარის ოდენობით. აღსანიშანვია, რომ ინტერვიუების დროს ადმინისტრაციისგან მოვისმინეთ, რომ ფაკულტეტის სამეცნიერო მიმართულების ბიუჯეტი არის 500 000 ლარი. თუმცა აღნიშნული ფაქტის დადასტურება არ ხდება წარმოდგენილი ბიუჯეტების გაანალიზების დროს. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტში ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით მიღებული შემოსავლების წილი არის 13%. მოცემული მდგომარეობით პროგრამისგან მიღებული შემოსავლები საკმარისია სასწავლო პროცესის წარმართვისთვის და პროგრამის შემოსავლები მიუთითებს პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე. მიგვაჩნია, პროგრამის ხარისხის გაუმჯობესბის მიზნით უმჯობესი იქნება, გაიზარდოს სამეცნიერო და კვლევითი აქტივობების ბიუჯეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიუჯეტი; ○ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ ბიუჯეტი; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ გაიზარდოს სამეცნიერო და კვლევითი მიმართულებით დაფინანსება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	✓			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამა ხორციელდება უსდ-ში მოქმედი, საჯაროდ ხელმისაწვდომი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის მიხედვით. მასში ხაზგასხმულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაში სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობის აუცილებლობა. პროგრამის შემუშავებისა და შეფასების მექანიზმი გულისხმობს პროგრამის ხარისხის მუდმივ მონიტორინგს. მონიტორინგის მიზანია პერიოდულად სტუდენტთა საჭიროებებისა და დასაქმების ბაზრის ცვალებადი მოთხოვნების განსაზღვრა. პროგრამის ხარისხის პირდაპირი (აკადემიური მოსწრების ანალიზი და სწავლის შედეგების რუკა და ა.შ.) და არაპირდაპირი (დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა

გამოკითხვის შედეგების ანალიზი და ა.შ). შეფასების ფორმების გამოყენებით დგინდება ის საჭიროებები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი და შიდა ხარისხის სამსახური. პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესი მოიცავს სხავადასხვა ნაბიჯებს, მათ შორის პროგრამასთან დაკავშირებული ყველა მასალისა და დოკუმენტაციის თავმოყრა; პროგრამის ხარისხის შეფასების გეგმის შემუშავება; სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების განსაზღვრა და ა.შ. შიდა ხარისხის შეფასება გულისხმობს პირდაპირი შეფასების ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა აკადემიური მოსწრების ანალიზი; სწავლის შედეგების რუკა; პროგრამით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვლევა.

აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან პროგრამის შეფასების მიზნით დაკავშირება. საუბრის დროს გამოირკვა, რომ როგორც კურსდამთავრებულებს, ასევე სტუდენტებს სურვილი აქვთ პროგრამის სასწავლო კურსებს დაემატოს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. ამ საგნის აუცილებლობაზე ინტერვიუების დროს საუბრობდნენ დამსაქმებლებიც. სწორედ ამიტომ სასურველია უსდ-მ გამოკითხვის დროს გაითვალისწინოს სტუდენტებისა და დამსაქმებლების აზრი. ასევე სასურველია პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელდეს კითხვარებისა და მონიტორინგის დროს მიღწეული შედეგების ანალიზი. მიუხედავად იმისა რომ კეთდება გამოკითხვები და კვლევები, არ ხდება აღნიშნული მონაცემების შესაბამისი ანალიზი. გამოკითხვებში ძირითადად ასახულია ნედლი ინფორმაცია, მართალია, სხვადასხვა შეფასების მექანიზმები არის განვითარებული, მაგრამ არ ხდება ამ შედეგების შეფასების ინტეგრირება და გაანალიზება.

ხარისხის სამსახურის მიერ მოხდეს იმის შეფასება, თუ რამდენადაა პროგრამის სწავლის შედეგები სწორად ფორმიულირებული, რომ აღწერდეს იმ ცოდნასა და უნარებს რაზეც ყველა სტუდენტი გავა კონცენტრაციის მიუხედავად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არსებული მასალა;
- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები: ○ პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელდეს კითხვარებისა და მონიტორინგის დროს მიღწეული შედეგების ანალიზი. ○ უსდ-მ გამოკითხვის დროს გაითვალისწინოს სტუდენტებისა და დამსაქმებლების აზრი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელდეს ელ. ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორც აკადემიურ პერსონალში, ასევე სტუდენტებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ იყენებს პროგრამის ხარისხის გარე შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის კვლევას შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების პერსპექტივებიდან. დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევა ხდება სპეციალური კითხვარების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების აქტუალურობის გადამოწმების, დასაქმების ბაზრის რეალური და ხშირად ცვალებადი მოთხოვნების მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით და გულისხმობს იმ არსებული თუ ახალი თეორიული ცოდნისა და ტრანსფერული უნარების დადგენას, რაც აუცილებელი წინაპირობაა კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის შესაბამისად წარმატებით დასაქმებისა და კარიერული წინსვლისთვის. ასევე პერიოდულად ხდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების მოძიება და ანალიზი, ასევე, კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებულთა კმაყოფილების კვლევა პროგრამით გამომუშავებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დამსაქმებლის მოთხოვნებთან რელევანტურობის ხარისხთან დაკავშირებით.

გარე ხარისხის შეფასების შედეგების, მათ საფუძველზე განსაზღვრული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინების ილუსტრაციად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ბოლო აკრედიტაციის (2018 წ. 17-18 ოქტომბერი) შემდეგ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. რიგი ცვლილებებისა შეეხო როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტებს. კერძოდ, დაკონკრეტდა პროგრამაში მიღების წინაპირობები (უცხო ენაში მისაღები გამოცდის დონის განსაზღვრა), გადამუშავდა სავალდებულო სასწავლო კურსები; პროგრამას დაემატა ახალი დისციპლინები (კვლევის მეთოდები) და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები;
- სტუდენტთა ანკეტირების მასალები;
- პროგრამა და სილაბუსები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარები და შეფასების ფორმები.ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდულ მონიტორინგში, ჩართული არიან დაინტერესებული მხარეები: აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი; სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა. მონიტორინგის ორგანული ნაწილია, ასევე, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული სწავლების პროცესის ხარისხის შეფასება. ამ მიზნით, პერიოდულად ხდება ლექციების მიმდინარეობისა და

სილაბუსით დაგეგმილი სასწავლო აქტივობების შესრულების მონიტორინგი. მიღებულია ლექციებზე ლექტორთა ურთიერთდასწრების და რეკომენდაციების გაცემის პრაქტიკა. უნივერსიტეტში დამკვიდრებული სხვა პრაქტიკის მიხედვით, სემესტრის ბოლოს სტუდენტებიც აფასებენ სასწავლო კურსებს და ლექტორებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები. ○ ხარისხის სამსახურის მიერ ხარისხის მართვის პროცესში გამოყენებული კითხვარები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათისრჩევებიპროგრამისგანვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპ როგრამისშესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასები სადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ლარისა პატარაია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: სოფიო ხუნდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: გიგი გიოშვილი